თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4900142

ნომერი: AR1734496

თარიღი : 13.02.2020

გაცემის თარიღი : 13.03.2020

გაცნობის თარიღი : 20.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N57;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817564 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020

წლის 13 თებერვლის NAR1734496 განცხადებით მომართა მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817564 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817564 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N57, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.408), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 10 იანვრიდან 2023 წლის 10 იანვრის ჩათვლით ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817564 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობი 811.9 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 826.0 კვ.მ. ასევე, უნდა დაემატოს გამორჩენილი - 3.10 ნიშნულის გეგმაზე არსებული დამხმარე ფართობი 26.3 კვ.მ, საოფისე ფართობი 538.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა დაფიქსირდეს კომერციული ფართობი 538.2 კვ.მ, ასევე, მოთხოვნილია ღია ავტოსადგომის ფართობად 528.9 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა შეისწავლა საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ 2020 წლის 10 იანვრის №4817564 ბრძანებაში არასწორად იქნა დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ საზაფხულო ფართობად მითითებული უნდა იყოს 826.0 კვ.მ, ამასთან უნდა დაემატოს - 3.10 ნიშნულის გეგმაზე გამორჩენილი არსებული დამხმარე ფართობი 26.3 კვ.მ. შესაბამისად, საერთო ფართობად 7219.3 კვ.მ-ის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 7259.7 კვ.მ. ასევე, საოფისე ფართობი 538.2 კვ.მ შეიცვალოს კომერციულ ფართობი 538.2 კვ.მ-ით, ამასთან, ცალკე ღია ავტოსადგომების ფართობად უნდა დაფიქსირდეს 528.9 კვ.მ
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N882019542915, მომზადების თარიღი: 05/07/2019 18:44:40) მიხედვით, N01.17.14.001.408 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ლაღიძე პლაზა“ (N211377767). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B20010774, მომზადების თარიღი: 04/02/2020 12:19:44), შპს „ლაღიძე პლაზა“-ს (N211377767) დირექტორს წარმოადგენს ივანე ოქროპირიძე (პ/ნ: 01024011710). სამსახურში წარმოდგენილია ივანე ოქროპირიძის მიერ მარიამ პაპუკაშვილის სახელზე გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, რითიც დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N190798474, რეგისტრაციის თარიღი: 08.07.2019 წ.).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817564 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817564 ბრძანებაში და საზაფხულო ფართობად მიეთითოს 826.0 კვ.მ, დამხმარე ფართობად 26.3 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად 7259.7 კვ.მ. ასევე, საოფისე ფართობი 538.2 კვ.მ-ის ნაცვლად მიეთითოს კომერციულ ფართობი 538.2 კვ.მ. ამასთან, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 528.9 კვ.მ,

2. 2020 წლის 10 იანვრის №4817564 ბრძანებით შეთანხმებული -3.10 და +0.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს, წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების არქიტექტურული გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817564 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817564 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.